შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ ა

ქ. თბილისი **29 ივლისი, 2015 წელი**

ერთი მხრივ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის გიორგი სოლომონიას სახით და მეორე მხრივ, სს „საქენერგორემონტი" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მინდობილი პირის შალვა ხუჯაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შეთანხმების საგანი

1. ვინაიდან, საჭირო გახდა სს „საქენერგორემონტი" - სთან 2015 წლის 16 ივლისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2.11.2/10/476 ხელშეკრულების *(ქ. თბილისში, 13-14 ივნისს სტიქიის შედეგად დაზარალებული უბნების გაწმენდა - გასუფთავების და შემოტანილი მასის (გრუნტი, ლამი, მერქანი და სხვა ნარჩენები) გატანის სამუშაოების (სპეციალური ტექნიკის და მათი ოპერატორების დაქირავება) შესყიდვა)* საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული პარამეტრების ცვლილება, ერთეულის ფასების შუცვლელად, ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ღირებულების ფარგლებში, ხელშეკრულების მონაწილე მხარეები - შემსყიდველი და მიმწოდებელი - შეთანხმდნენ:

1.1 ხელშეკრულების ღირებულება შემცირდეს 5670 ლარით, ნაცვლად 10800 ლარისა, განისაზღვროს 5130 ლარით და ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვა ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ხელშეკრულებას თან ახლავს კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა.

საფუძველი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 2015 წლის 29 ივლისის N10-18/15210232 წერილი.

2. შეთანხმების მოქმედების ვადა

2.1 წინამდებარე შეთანხმება მოქმედებს მასზე ხელის მოწერის დღიდან.

2.2 შეთანხმება წარმოადგენს მხარეთა შორის 2015 წლის 16 ივლისს დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N2.11.2/10/476 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2.3 ხელშეკრულების ყველა სხვა პირობა რჩება უცვლელი.

3. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
ს/კოდი: 204521794
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

გ. სოლომონია

მიმწოდებელი:
სს „საქენერგორემონტი"
ს/კოდი: 236037962
სს „საქენერგორემონტი"-ს გენ. დირექტორის მინდობილი პირი

შ. ხუჯაძე

ხელშეკრულების საგანი: ქ. თბილისში, 13-14 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებული უბნების გაწმენდა-გასუფთავება და შემოტანილი მასის (გრუნტი, ლამი, მერქანი და სხვა ნარჩენები) გატანა

ხელშეკრულება: №2.11.2/10/476 16.07.2015 წ.

კორექტირებული ხარჯთაღრიცხვა

N	ტექნიკის დასახელება	განზ. ერთ.	მანქანა-მექანიზმების ღირებულება, ოპერატორის ჩათვლით, საწვავის გარეშე			მანქანა-მექანიზმების ღირებულება, ოპერატორის და საწვავის ჩათვლით,			მთლიანი ღირებულება	მიწოდებული საწვავის რაოდენობა (ლიტრი)
			რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1	ბულდოზერი, 25 ტნ, კომაცუ ან კატერპილარი	სთ	57.00	90.00	5130.00	0.00	112.00	0.00	5130.00	
	ჯამი				**5130.00**			**0.00**	**5130.00**	

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე

გ.სოლომონია

სს „საქენერგორემონტი"-ს
გენ.დირექტორის მინდობილი პირი

შ. ხუჯაძე